MES 3 20 00402628

22/05/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა-Zoom-ის გამოყენებით **2020 წლის 8 მაისს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე - პრეზიდენტი, მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის მდივანი;
თამარ ლაღიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინო ინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია" და სამაგისტრო პროგრამის " გამოყენებითი ბიომეცნიერებები" ხელმძღვანელი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალიგიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ანა გვრიტიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
გაგა გვენეტაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ჯემალ ძაგანია - რექტორი;
ვლადიმერ ბოჟაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
მანანა მნათობიშვილი -ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარიამ პაპიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ტრისტან გულბიანი - მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანი;
გიორგი ფარულავა - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი;
ნათია გაგნიძე - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ედილაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გიორგი ზუბიტაშვილი - სამეცნიერო კვლევითი სამსახურის უფროსი;
ლადო ჯიოევი - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;
აჩი უგულავა - თვითმმართველობის თავმჯდომარე;
ვასილ ბაკაშვილი - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ბერიძე - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო საგანმანათლბელო პროგრამის ხელმძღვანელი;
გიორგი თხელიძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

მილან პოლი (Milan Pol);
ირმა მანჯავიძე;
ინგა დიაკონიძე;
მაკა გველესიანი;
ნინო ალავიძე.

სხვადამსწრეპირები:

ქრისტინე გაბისონია - სტენოგრაფისტი;

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნუგზარ სხირტლაძემ. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181-ე დადგენილებით დამტკიცებული, ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ განკარგულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი საბჭოს ანიჭებდა უფლებამოსილებას, რომ ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოებები განეხილა და გადაწყვეტილება მიეღო დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადს, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ საბჭოსთვის წარედგინათ მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ხედვა ფორმულირდეს იმგვარად, რომ ასახოს მისიის განაცხადში მოცემული ყველა მნიშვნელოვანი სფერო;
- გაუმჯობესდეს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში მისიისა და ხედვის გაზიარების მექანიზმები;
- დარწმუნდით, რომ ფორმულირებული ღირებულებები (მაგალითად აკადემიური კეთილსინდისიერება) კარგად არის გააზრებული საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ;
- გადაიხედოს სამოქმედო გეგმა, მკაფიო ბიუჯეტის გამოყოფით თითოეული ძირითადი აქტივობისათვის;
- გაიზარდოს სტუდენტთა მონაწილეობა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შეფასების პროცესებში;
- გაფართოვდეს და ხელი შეეწყოს სამეცნიერო კვლევების, კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სამსახურების ფუნქციონირებას;
- გადაიხედოს და განვითარდეს საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის საქმიანობა;
- გაუმჯობესდეს ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და სტუდენტთა და პერსონალის ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის პროცესში;
- მკაფიოდ განისაზღვროს ინტერნაციონალიზაციისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები;
- გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხის სრულყოფის მექანიზმი;
- ამაღლდეს შიდა და გარე შემფასებელთა ცნობიერება საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა დონეზე მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ;
- უზრუნველყავით გარე დაინტერესებულ მხარეთა მეტი ჩართულობა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში;

- დაინერგოს და გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ანტიპლაგიარიზმის მექანიზმები. ეს მექანიზმები (პროგრამა) გამოიყენეთ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ნაშრომების შემოწმებისას;
- უზრუნველყავით სტუდენტებისა და პეროსნალის უკეთ ინფორმირება აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ;
- უზრუნველყავით პერსონალის შეფასების მექანიზმის დანერგვა და შეფასების შედეგების გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- გარე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით მეტი ყურადღება მიაქციეთ სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებისათვის მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამაში ინგლისური ენის ცოდნის საჭირო დონე;
- უზრუნველყოფილ იქნეს ინგლისური ენის შესაბამისი დონის სწავლების კურსით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამაგისტრო პროგრამა, უცხოური ენების ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიერ დადგენილ სტანდარტების შესაბამისად;
- გაუმჯობესდეს და დაინერგოს პრაქტიკაში შეფასების გასაჩივრების სისტემის მექანიზმები;
- დაზუსტდეს თუ რა ზეგავლენას ახდენს პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები მათი შრომის ანაზღაურებისა და წახალისების სისტემაზე;
- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ პერსონალის შეფასებისა და საქმიანობის შესწავლის ყველა ინსტრუმენტი შეესატყვისებოდეს მიზანს და იძლეოდეს საკმარის ინფორმაციას გაუმჯობესების საფუძვლისათვის;
- უზრუნველყავით მთელი ადმინისტრაციული პერსონალისათვის ახალი შეფასების სისტემის გაცნობა.
- უზრუნველყავით ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების განხორციელება სრულყოფილად;
- დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით უზრუნველყოფილ იქნეს სამიზნე ნიშნულების დაწესება ყველა თანამშრომლისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოსათვის;
- პერსონალის მიერ მათი საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით უზრუნველყავით სამიზნე ნიშნულების შემუშავება და გამოყენება ყველა თანამშრომლისათვის;
- დარწმუნდით, რომ სასწავლო საკითხების შესახებ ინფორმაციის ინგლისურენოვანი ვერსია ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- დარწმუნდით, რომ სტუდენტთა უფრო აქტიური ჩართულობა საუნივერსიტეტო საკითხებში (მართვა, სტუდენტური ასოციაციები და სხვ.) იქცეს რეალობად;
- შეიმუშავეთ სტუდენტებისათვის მოკლე და გრძელვადიანი საერთაშორისო პროექტები;
- დარწმუნდით, რომ სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სამოქმედო გეგმა და ეს გეგმა საყოველთაოდაა გავრცელებული;
- დარწმუნდით, რომ მუშაობა კურსდამთავრებულებთან იყოს უფრო სისტემური;
- შექმენით კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების სტრუქტურირებული მონაცემთა ბაზა;
- შეიმუშავეთ და შესთავაზეთ სტუდენტებს კულტურული და სპორტული აქტივობების უფრო მდიდარი არჩევანი;
- დარწმუნდით, რომ ვებ-გვერდი არის ინფორმატიული, თანამედროვე ინტერფეისით და გახადეთ იგი უფრო ინტერაქტიული;
- ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში გააღრმავეთ თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციის უკეთ წარმართვის მიზნით;

- განახორციელეთ კომპლექსური დისციპლინათაშორისი კვლევითი აქტივობები, რაც შესაბამისობაში იქნება უნივერსიტეტის სპეციფიკასთან და ხასიათთან;
- გაზარდეთ სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში;
- შეიმუშავეთ და დანერგეთ უნივერსიტეტის შიდა კვლევითი გრანტების მექანიზმები;
- განავითარეთ უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით აქტივობებში სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობის გაზრდის მექანიზმები;
- შეიმუშავეთ ადგილობრივი და საერთაშორისო პროფესორების მიერ კვლევების ერთობლივი ხელმძღვანელობის პრაქტიკა;
- გააუმჯობესეთ ახალი კვლევითი პერსონალის მოზიდვის მექანიზმები;
- გააუმჯობესეთ შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები კვლევითი აქტივობების შემდგომი განვითარებისათვის;
- დარწმუნდით, რომ ყველა ობიექტის დონე დამაკმაყოფილებელია;
- გააუმჯობესეთ გარემოს ადაპტირება განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის;
- შეიმუშავეთ და განახორციელეთ საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის გაზრდის სტრატეგიები;
- განსაზღვრეთ კონკრეტული მოქმედებები ელექტრონული მართვის სისტემის შემდგომი განვითარებისათვის;
- შეიმუშავეთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია;
- დარწმუნდით, რომ ბიუჯეტი უფრო მკაფიოდაა დივერსიფიცირებული კონკრეტულ მუხლებად დაწესებულების ოპერირებისა და განვითარების ძირითად სფეროებში;
- დარწმუნდით, რომ საკმარისი ფინანსებია გამოყოფილი უნივერსიტეტის მესამე მისიასთან დაკავშირებული აქტივობებისათვის, მათ შორის ინტერნაციონალიზაციისთვის (ფინანსური პარამეტრები ზუსტად უნდა იყოს დადგენილი).

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მილან პოლმა პირველ რიგში აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის სხვა წევრებიც იმყოფებოდნენ სხდომაზე და ისინიც გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებას. მისი განმარტებით, აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა ონლაინ, დისტანციურ რეჟიმში, თუმცა მათ ჰქონდათ შესაძლებლობა ყველა გარემოება შეესწავლათ სათანადოდ, მათ შორის ადგილობრივმა ექსპერტებმა მატერიალური რესურსების დათვალიერების მიზნით ვიზიტი განახორციელეს ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებაში. მილან პოლი თვლიდა, რომ უნივერსიტეტი იყო საკმაოდ სპეციფიური სახელწოდებიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, რადგან ის ახორციელებდა განსხვავებულ საგანმანათლებლო პროგრამებს განათლების ბაზარზე საქართველოში. ექსპერტის თქმით, სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა 2 ფაკულტეტი, 6 საგანმანათლებლო პროგრამა, საიდანაც 3 ხორციელდებოდა საბაკალავრო საფეხურზე, სადაც სტუდენტების უმრავლესობა სწავლობდა, ასევე, ჰყავდათ რამდენიმე სტუდენტი სამაგისტრო საფეხურებზე. მისი განმარტებით, დაწესებულების წარმომადგენლები ახორციელებდნენ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამასაც (მწვრთნელების მომზადების).

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა, რომ დაწესებულება კურიკულუმს გარე სასწავლო აქტივობებშიც იყო ჩართული და ახორციელებდა ამ აქტივობებს სხვადასხვა რეგიონში საქართველოს მასშტაბით. კერძოდ, დაწესებულება ატარებდა ტრეინინგებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლებისა და ფიზიკური აღზრდის მწვრთნელებისათვის. ამასთან, უნივერსიტეტის ფუნქციონირებას საკუთარი ისტორია ჰქონდა. ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების თანახმად, აღნიშნული უნივერსიტეტი წარმოადგენდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაწილს, 2013 წლიდან კი უკვე დამოუკიდებლად დაიწყო ფუნქციონირება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მილან პოლის მოსაზრებით, სავარაუდოდ აღნიშნულმა მისცა უნივერსიტეტს

გარკვეული შესაძლებლობები და გამოწვევების წინაშეც დააყენა, რადგან მათ დამოუკიდებლად მოუწიათ ფუნქციონირების დაწყება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტებმა შეისწავლეს და შეაფასეს დაწესებულების ფუნქციონირება და იგი ძირითადად შეაფასეს, როგორც მეტწილად შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, მაგრამ ინსტიტუცია შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში რამდენიმე სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით. მათ შორის ინსტიტუცია მე-2 სტანდარტის მოთხოვნებთან შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც მისი მოსაზრებით, გამოწვეული იყო იმით, რომ სასწავლო უნივერსიტეტს დამოუკიდებლად ფუნქციონირების მოკლე ისტორია ჰქონდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ორგანიზაციის სტრუქტურა, მისი ფუნქციონირება. მან აღნიშნა, რომ გარკვეული სტრუქტურული ერთეულები იყო ახალი დაარსებული, რამაც გამოიწვია აღნიშნული სტანდარტის ამგვარი შეფასება. მაგალითად, სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახური, კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის სამსახური, ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის სამსახური. მისი თქმით, მე-7 სტანდარტის ერთ - ერთი კომპონენტიც, მატერიალური რესურსები, შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში ავტორიზაციის სტანდარტებთან. უნივერსიტეტი საქმიანობას ნაწილობრივ ახორციელებდა ძველ შენობაში და ნაწილობრივ - ახალ ნაქირავებ შენობაში. ასევე, ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, რომ სამინისტრო უახლოეს პერიოდში ააშენებდა შესაბამის შენობას უნივერსიტეტისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკაზეც, რომელიც გამოიკვეთა შეფასების დროს: კურიკულუმს გარე სასწავლო აქტივობები, რომელსაც ახორციელებდა უნივერსიტეტი სხვადასხვა რეგიონში საქართველოს მასშტაბით, ამასთან მისი თქმით, მწვრთნელთა ფაკულტეტი კურსდამთავრებულებს აძლევდა სპეციალურ ლიცენზიას, რომელიც უადვილებდა კურსდამთავრებულებს შრომის ბაზარზე შესვლას და სამსახურის პოვნას. ექსპერტის მოსაზრებით, უნივერსიტეტმა იცოდა რასაც აკეთებდა და მას ჰქონდა განვითარების პერსპექტივა სხვადასხვა მიმართულებით, განსაკუთრებით, ორგანიზაციული კუთხით. ასევე, მისი თქმით, სასურველი იყო დაცული ყოფილიყო ბალანსი პერსონალის ასაკობრივ ჭრილში.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ, აღნიშნა, რომ არცერთი სტანდარტი არ შეფასებულა, როგორც სრულად შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტებთან. მან სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს გამოეყო სხვა საუკეთესო პრაქტიკა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ დააკონკრეტა 2 ძირითადი საუკეთესო პრაქტიკა. პირველი, დაწესებულება ატარებდა ტრეინინგებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლებისა და ფიზიკური აღზრდის მწვრთნელებისათვის და მეორე - კურსდამთავრებულებს სთავაზობდა სპეციალურ ლიცენზიას, რაც სტუდენტებს უადვილდებათ სამსახურის პოვნას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ყველაზე მეტად რომელ გასაუმჯობესებელ მხარეს გამოყოფდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაწესებულებასთან მიმართებით მიუხედავად იმისა, რომ არცერთი სტანდარტი არ იყო შეფასებული, როგორც შეუსაბამო სტანდარტთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გამოყო სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები და შენობის მდგომარეობა, მისი მდგრადობა. პანდემიიდან გამომდინარე შენობა ადგილზე მხოლოდ ადგილობრივმა ექსპერტებმა დაათვალიერეს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრს ჰქონდათ შესაძლებლობა ენახათ შენობის სურათები.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დანარჩენ ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ავტორიზაციის ექსპერტმა ინგა დიაკონიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მკაფიოდ ჰქონდა ჩამოყალიბებული მისია: განათლება, გამოყენებითი კვლევა, როლი საზოგადოების წინაშე. მისი თქმით, უნივერსიტეტის ხედვაში სამეცნიერო კვლევა იყო გამოტოვებული, შესაბამისად მათ გასცეს რეკომენდაცია ამ მიმართულებით. რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას, მისი თქმით, ეს იყო აკადემიური პერსონალის ჩართულობის პრობლემა, რომელიც უნივერსიტეტს ნაწილობრივ გათავისებული ჰქონდა, ეს ინტერვიუებმაც ცხადყო.

რაც შეეხებოდა პირველი სტანდარტის მე - 2 კომპონენტს, უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა. ამ ორ დოკუმენტს შორის კავშირი არსებობდა, ექსპერტის შენიშვნა იყო ის, რომ ყველა აქტივობისათვის არ იყო დაკონკრეტებული საჭირო ბიუჯეტი. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი ინტერვიუებზე დაისვა და დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს სამინისტროს წერილი. მათი თქმით, ბიუჯეტის გაწერის პრობლემა არ იქნებოდა, მათ დივერსიფიცირებული ბიუჯეტი მოგვიანებით მიაწოდეს ექსპერტებს. გამომდინარე აქედან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა გამოჩენილიყო 3 წლიან გეგმაში, როგორ გადანაწილდებოდა თანხა ინსტიტუციის მიერ, რადგან ჩანდა მხოლოდ პროცენტული მაჩვენებელი. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს ეს იყო ბიუჯეტის უფრო მკაფიოდ გაწერა და სტუდენტთა მონაწილეობის გაზრდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შეფასების პროცესში, რაც ნაკლები იყო ვიდრე სასურველი იქნებოდა.

ექსპერტმა, ინგა დიაკონიძემ მიმოიხილა ინსტიტუციის შესაბამისობა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით. მან აღნიშნა, რომ მე - 2 სტანდარტის დაბალი შეფასება გამოიწვია, იმან, რომ უნივერსიტეტმა თავისი ფუნქციონირება განაახლა არცთუ ისე დიდი ხნის წინ. ამასთან, დაამატა რამდენიმე სტრუქტურული ერთეული, სამეცნიერო დეპარტამენტი, საერთაშორისო დეპარტამენტი, სტუდენტების კარიერული განვითარების დეპარტამენტი, რომლებიც ახალი შექმნილი იყო. მან აღნიშნა, რომ ინსტიტუციას რეგულაციების დონეზე ყველაფერი ჰქონდა გაწერილი, თუმცა ბოლომდე არ იყო დაწყებული მათი განხორციელება პრაქტიკაში და არ ჩანდა შედეგები, რაც შესფასებისას იყო გათვალისწინებული. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ თვითშეფასების ანგარიშის მოწოდების შემდეგ დაწესებულების წარმომადგენლებს უკვე დაწყებული ჰქონდათ სუსტი მხარეების გამოსწორება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა უკვე ფუნქციონირებდა დაწესებულებაში ინტერვიუების დროს. ექსპერტმა გამოყო ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ორგანიზებული ფუნქციონირება, რომლებმაც წარმოადგინეს ყველა ნაბიჯი, რომელიც გაწერილი იყო ბიზნეს უწყვეტობის თვალსაზრისით. სამეცნიერო კვლევის დეპარტამენტი ახალი შექმნილი იყო, მას გაწერილი ჰქონდა შიდა გრანტები, თუმცა საჭირო იყო სტუდენტების, სამეცნიერო პერსონალის მეტი ჩართულობა და მოტივაცია, რაც ინტერვიუების და დოკუმენტაციის გაცნობის დროს გამოიკვეთა. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მეტი ძალისხმევა სჭირდებოდა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებს არ ჰქონდათ საშუალება შეხვედროდნენ ამ სამსახურის წარმომადგენლებს. ინგლისურენოვანი ვებგვერდი დასახვეწი იყო, მითუმეტეს, როდესაც უნივერსიტეტს გეგმაში ჰქონდა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, შესაბამისად, ინგლისურენოვანი ვებგვერდის არსებობა მნიშვნელოვანი იქნებოდა. მან აღნიშნა, რომ

შენიშვნები იყო კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მხრიდანაც, რომ უნივერსიტეტი უფრო მეტს აკეთებდა ვიდრე ჩანდა ვებგვერდზე. უნივერსიტეტს გადადგმული ჰქონდა გარკვეული ნაბიჯები ინტერნაციონალიზაციის კუთხით, ჰქონდა ერასმუსის პროექტები, სადაც სტუდენტების ჩართულობა დაბალი იყო (2-3 სტუდენტი), დაბალი იყო პროფესორების ჩართულობაც, თუმცა უნივერსიტეტი ცდილობდა გამოსწორებას. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული დაკავშირებული იყო ინგლისური ენის ცოდნის დაბალ დონესთან პროფესორებსა და სტუდენტებში, დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, დაგეგმილი იყო ტრეინინგები ამ მიმართულებით.

რაც შეეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სახელმძღვანელო. ასევე, არსებობდა იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ შემფასებლის რეკომენდაციებს ითვალისწინებდნენ და ახორციელებდნენ გარკვეულ ცვლილებებს. ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამებში კი მოხდა რესურსის განახლება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გარე შემფასებლები კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები იყვნენ. ამასთან, აღსანიშნავი იყო, რომ დამსაქმებლებმა და კურსდამთავრებულებმა არ იცოდნენ კარიერული განვითარების სამსახურის შესახებ, შესაბამისად მათი სურვილი იყო მეტი პრაქტიკის ჩადება საგანმანათლებლო პროგრამებში, რასთან დაკავშირებითაც ასევე, გაიცა რეკომენდაციები.

სტანდარტის 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს გაწერილი ჰქონდა რეგულაციები პლაგიატთან დაკავშრებით. ნორმატიული ბაზა წესრიგში იყო. არსებობდა მონაცემები, რომ მას შეძენილი ჰქონდა ერთობლივად პროგრამა ერთ-ერთ სახელმწიფო უნივერსიტეტთან, თუმცა პლაგიატის პროგრამის გამოყენება პრაქტიკაში არ იყო დაწყებული. არცერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ამ პროგრამით შემოწმება არ მომხდარა. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა ცხადყო რომ ჯერ-ჯერობით პლაგიატზე და მის აღმოფხვრაზე პასუხს აგებდა მხოლოდ ნაშრომის ხელმძღვანელი. მათ შექმნილი ჰქონდათ ე. წ რეპოზიტორიუმი, ბაზა, რაც ესახებოდათ პლაგიატთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად. ექსპერტის თქმით, მნიშვნელოვანი იყო პლაგიატის პროგრამული უზრუნველყოფის ამუშავება. ექსპერტის მოსაზრებით, მეტი ძალისხმევა იყო საჭირო, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს უკეთ ესმოდეთ აკადემიური კეთილსინდისიერების კონცეფცია, რაზეც ინტერვიუს დროს აკადემიური პერსონალისგან ვერ მიიღეს შესაბამისი პასუხი. ასევე, ექსპერტებს ჰქონდათ გარკვეული შენიშვნები სწავლების ხარისხის ამაღლებასთან და მის მონიტორინგთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეტი ძალისხმევა იყო საჭირო აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მხრივ, ისინი არ იცნობდნენ ტრენინგ კურსებს, რომელსაც უნივერსიტეტი მათ სთავაზობდა. ექსპერტის თქმით, პერსონალის კვალიფიკაციისა და სწავლების ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი იქნებოდა ურთიერთდასწრების ე.წ. “peer review” კომპონენტი.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მიმოეხილათ ინსტიტუციის შესაბამისობა ავტორიზაციის მე - 3 სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა ირმა მანჯავიძემ აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშიდან ცნობილი იყო, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა 2 ფაკულტეტი, 3 საბაკალავრო საგანმანათლებლო და 3 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც შეიძლებოდა არსებულიყო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით იყო ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისი. ასევე, კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია შეესაბამებოდა კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს. ექსპერტმა განმარტა, რომ სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ მათ უნდოდათ პრაქტიკული ნაწილის გაზრდა, მაგალითად,

რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტებმა განსაზღვრეს, რომ სასურველი იქნებოდა განსხვავებულ რეაბილიტაციის ცენტრებში მუშაობა, რომ სხვადასხვა გამოცდილება შეეძინათ. ასევე, ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ენის ცოდნის პრობლემა, რაც შეფერხებებს ქმნიდა ინტერნაციონალიზაციის, სამეცნიერო აქტივობების კომპონენტებთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ინგლისური ენის კომპონენტი, გადასახედი იქნება კრედიტების საკითხი. ექსპერტმა დადებით მხარედ დაასახელა ის, რომ დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს ისინი გამოთქვამდნენ მეტი პრაქტიკული ნაწილის გატარების სურვილს მათთან და ახლაც იყვნენ ჩართულები საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში. ასევე, სტუდენტების გამოკითხვების გათვალისწინებით, დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამაში შეიტანა სხვადასხვა კომპონენტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი კარგი მაგალითი იყო საბაკალავრო საფეხურზე დოპინგის მიმართულებით სილაბუსის დამატება, რაც ეხმიანებოდა უნივერსიტეტის მესამე მისიასაც. რაც შეეხებოდა სწავლის შედეგების შეფასებას, მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმები, თუმცა სტუდენტებმა მკაფიოდ ვერ ჩამოაყალიბეს, რომ იცნობდნენ უნივერსიტეტში არსებული გასაჩივრების მექანიზმებს.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მიმოეხილათ ინსტიტუციის შესაბამისობა ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, მაკა გველესიანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებამ 2019 წლის ზაფხულში გაიარა შეფასება კონტინგენტის გაზრდის მიზნით. ის მაშინაც მონაწილეობდა შეფასებაში ექსპერტის სტატუსით, შესაბამისად ჰქონდა შესაძლებლობა შეეფასებინა დაწესებულების პროგრესი. ვიზიტის დროს დაწესებულებას ჰყავდა 71 აკადემიური პერსონალი, საიდანაც აფილირებული იყო 68, ასოცირებული პროფესორი - 34, ასისტენტ - პროფესორი - 17 და ასისტენტი - 7. მნიშვნელოვანი იყო, რომ დაწესებულებაში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის დანერგილიყო პერსონალის შეფასების სისტემა, რაც ჯერ არ იყო ბოლომდე დანერგილი. მან აღნიშნა, რომ 2019 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად დაწესებულებამ დაიწყო შეფასების სისტემის დანერგვა. ექსპერტმა განმარტა, რომ ცვლილება განხორციელდა ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში, სადაც დაემატა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომლებმაც უზრუნველყვეს აღნიშნული შეფასების დანერგვა. მან აღნიშნა, რომ ზოგადად, შეფასების სისტემის დანერგვა გრძელვადიანი პროცესი იყო, შესაბამისად ექსპერტთა შეფასება დაეყრდნო იმ საწყის ეტაპებს რასაც გაეცნენ, თუმცა, აღსანიშნავი იყო, რომ როდესაც პერსონალს დაუსვეს შეკითხვა მათ მკაფიო პასუხი არ ჰქონდათ იმ შეფასების სიტემაზე, რომელიც ინერგებოდა უნივერსიტეტში. შესაბამისად, მათი რეკომენდაცია იყო აღნიშნული შეფასების შედეგები გამოყენებული ყოფილიყო პროფესიული განვითარებისათვის, ანაზღაურებისა და წახალისების პროცესში, რაც მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ განვითარებულიყო უნივერსიტეტი. ექსპერტმა თქვა, რომ კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით პროფესიული გეგმის არსებობა იყო კრიტიკულად მნიშვნელოვანი, რადგან მასზე იყო დამოკიდებული დაწესებულების განვითარება, სანამ ის სრულყოფილად არ დაინერგებოდა არ იქნებოდა შესაძლებელი პროფესიული განვითარების გეგმა ინდივიდუალურ საჭიროებებზე ყოფილიყო მორგებული. მან აღნიშნა, რომ პირველადი გაცნობით გამოიკვეთა, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი საჭიროებდა განვითარებას ინგლისური და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარების მიმართულებით და რომ ინსტიტუციას სჭირდებოდა დიდი ძალისხმევის ჩადება ამ კუთხით. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგაში აღნიშნული იყო ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და გაცვლითი პროგრამების გააქტიურება, რისთვისაც ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა მნიშვნელოვანი იყო. დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ინგლისური ენის კურსების დაწყება დაგეგმილი იყო 2020 წლის ივნისიდან და ამის გამო

ექსპერტებმა ვერ შეძლეს დაედასტურებინათ, თუ რამდენად ეფექტური იქნებოდა ინგლისურის ასეთი კურსები აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის. ექსპერტმა გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ 71 აკადემიური პერსონალიდან 68 იყო აფილირებული, ისინი იცნობდნენ აფილირების წესს. დაწესებულება გეგმავდა აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მიმოეხილათ ინსტიტუციის შესაბამისობა ავტორიზაციის მე - 5 სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, ნინო ალავიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ის რეკომენდაციები და რჩევები, რაც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ჰქონდათ, ინსტიტუციას გაწერილი ჰქონდა სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმაში, არ ყოფილა არც-ერთი რეკომენდაცია, რომელიც სამომავლო გეგმაში არ იყო დასახული. რაც შეეხებოდა მარეგულირებელ დოკუმენტებს: სტუდენტების სტატუსის მოპოვების, განათლების აღიარების, ინსტიტუციას კარგად ჰქონდა შემუშავებული, თუმცა სტუდენტების ცნობადობა კონკრეტული რეგულაციების მიმართ იყო დაბალი. მაგალითად სტუდენტებმა არ იცოდნენ რა უნდა ექნათ თუ საგანმანათლებლო პროგრამას შეუჩერდებოდა აკრედიტაცია. შესაბამისად გაიცა რჩევა, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია. რაც შეეხებოდა უნივერსიტეტის ვებ - გვერდს, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების რეკომენდაცია იყო, მეტი ინფორმირებულობა, რადგან უნივერსიტეტი სთავაზობდა უნიკალურ პროგრამებს და სერვისებს, თუმცა ცნობადობა იყო დაბალი. კარგი იქნებოდა თუ განვითარდებოდა ვებ - გვერდის ინგლისურ ენოვანი ვერსია. ინსტიტუცია გეგმავდა უცხოენოვანი სტუდენტების მიღებას, შესაბამისად, აუცილებელი იყო მარეგულირებელი დოკუმენტების როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე განთავსება ვებ - გვერდზე. ასევე, მან აღნიშნა, რომ ქართულენოვანი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ვებ - გვერდზე განთავსებული იყო მოძველებული ფორმატით, მათ კი გადაეცათ გასაცნობად განახლებული ვერსია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის სამსახური ახალი შექმნილი იყო, რომელიც სისტემატიზირებულად არ იყო ამოქმედებული, არ იყო გაწერილი მკაფიო გეგმა, შესაბამისად დაინტერესებულმა მხარეებმაც არ იცოდნენ ამ სტრუქტურული ერთეულის შესახებ. ექსპერტთა სურვილი იყო უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულიყო ინფორმაცია, კურსდამთავრებულთა გამოცდილებების შესახებ, რათა ინფორმაცია ხელმისაწვდომი ყოფილიყო დამსაქმებლებისათვის. ასევე, მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტს დაეორგანიზებინა დასაქმების ფორუმები. გარდა ამისა, მან დაამატა, რომ სასურველი იყო ფსიქოლოგის შტატის გაჩენა უნივერსიტეტში, რადგან ისინი გეგმავდნენ უცხოელი სტუდენტების მიღებას. ქართველებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა აღნიშნული მომსახურება, თუმცა საერთაშორისო ასპარეზზე ამ შტატის არსებობა აუცილებელი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მიმოეხილათ ინსტიტუციის შესაბამისობა ავტორიზაციის მე-6 სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა ირმა მანჯავიძემ აღნიშნა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევითი კომპონენტი იყო 4 კრედიტი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში კი - 20 კრედიტი. თვითშეფასების ანგარიშიდან ექსპერტები გაეცნენ, რომ სხვადასხვა დეპარტამენტებს ჩატარებული ჰქონდათ მნიშვნელოვანი კვლევები, თუმცა ექსპერტთა ერთ - ერთი რეკომენდაცია იყო მომხდარიყო დარგთაშორისი ინტეგრირება, ინტერდისციპლინური კვლევებისა და გამოყენებითი კვლევების თავმოყრა. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო 2-3 ძირითადი კვლევითი მიმართულების განსაზღვრა, რითაც გაძლიერდებოდა უნივერსიტეტი მესამე მისია და დაიზოგებოდა ბიუჯეტი. თვითშეფასების მიხედვით სამეცნიერო კვლევაში იხარჯებოდა 3%, რომლის 5 % -მდე გაზრდას აპირებდნენ, რითაც გაძლიერდებოდა ეს

კომპონენტი. უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა შიდა გრანტების სისტემა, რაც უკავშირდებოდა ახალგაზრდა თაობის ჩართულობას. ინტერვიუს დროს ექსპერტები შეხვდნენ ახალგაზრდებს, რომლებიც იქნებოდნენ უნივერსიტეტის მომავალი კადრები, მათ ეს გაცნობიერებული ჰქონდათ ძალიან კარგად. სადოქტორო პროგრამებს რაც შეეხებოდა სტუდენტებს ძალიან უნდოდათ, რომ უნივერსიტეტში განხორციელებულიყო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებიც. დაწესებულებას შეტანილი ჰქონდა ერასმუსზე საგრანტო განაცხადი, ხოლო სტატიების გამოქვეყნებას რაც შეეხებოდა, უნივერსიტეტი პერსონალს მხარდაჭერას უცხადებდა ამ მიმართულებით. ექსპერტების რეკომენდაცია იყო, აკადემიური პერსონალს დაევიწროვებინა კვლევითი არეალი. იანვარში დაწესებულებაში შეიქმნა სამეცნიერო ცენტრი და ექსპერტები იმედოვნებდნენ, რომ სამომავლოდ ისინი თავიანთ გეგმებს შეასრულებდნენ.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა აფილირებული პერსონალი კვლევებში იყო თუ არა ჩართული, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ პერსონალი იყო კვლევებში ჩართული, მათ ჰქონდათ თავიანთი წარსული გამოცდილება, ახორციელებდნენ გარკვეულ ღირებულ კვლევებს და ჰქონდათ გარკვეული კავშირები, რომ მოეზიდა და ჩაერთოთ ახალგაზრდა მკვლევრები, რადგან ახალგაზრდა მკვლევართა ჩართულობის გარეშე ამ კომპონენტს ვერ განავითარებდა დაწესებულება.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მიმოეხილათ ინსტიტუციის შესაბამისობა ავტორიზაციის მე-7 სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, მაკა გველესიანმა აღნიშნა, რომ ორ ექსპერტს უშუალოდ ჰქონდა საშუალება ენახათ უნივერსიტეტის შენობა, დანარჩენი ექსპერტებისათვის მიწოდებული იყო ფოტოებიც. მისი თქმით, თავდაპირველად უნივერსიტეტი განთავსებული იყო მხოლოდ ჭავჭავაძეზე, რომელიც არ იყო მდგრადი. ექსპერტიზის დასკვნით საშიში იყო ამ შენობაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ამ ეტაპზე კი დაწესებულება ფლობდა 2 შენობას: ჭავჭავაძეზე და ასევე, ნაქირავები იყო საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) მე - 5 და მე - 6 სართული, სადაც არ მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროცესი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაბამისად, დასკვნა დაეყრდნო დოკუმენტებს და ინტერვიუებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვაკეში არსებულ შენობაში ექსპლუატაციაში იყო მხოლოდ პირველი სართული, სადაც განთავსებული იყო სამედიცინო კაბინეტი და ადმინისტრაციული ოთახი, ამ შენობაში არ მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. სპორტულ დარბაზებში მიმდინარეობდა პრაქტიკული აქტივობები, რომელსაც კურიკულუმის ძალიან დიდი ნაწილი ეკავა. ექსპერტმა თქვა, რომ მათი შეკითხვები დაინტერესებულ პირებთან ეხებოდა ინფრასტრუქტურას, მათი მხრიდან დაფიქსირდა, რომ ინვენტარი და ინფრასტრუქტურა საჭიროებდა გაუმჯობესებას. მეორე შენობასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს მე - 5 და მე - 6 სართულზე იყო განთავსებული, წარმოდგენილი იყო 6 წლიანი ხელშეკრულება, ინფრასტრუქტურა წარმოდგენილი იყო იმისათვის, რომ კარგად განხორციელებულიყო საგანმანათლებლო პროცესი. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანება სპორტული ინვესტიციების და ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობა განთავსდება ამ კომპლექსში. ეს ქვესტანდარტი ექსპერტების მხრიდან შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან პირველი სართული, რომელიც ეთმობოდა რექტორის კაბინეტსა და სამედიცინო კაბინეტს იყო არამდგრადი. რაც შეეხებოდა ბიბლიოთეკას, ის თავდაპირველად განთავსებული იყო ვაკის ტერიტორიაზე, თუმცა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუში წიგნადი ფონდის გადატანა და იმ დროისთვის შემთხვევითობის პრინციპით ყველა წიგნი წარმოდგენილი იყო, ბიბლიოთეკაში

იყო კომპიუტერული აღჭურვილობა, ბიბლიოთეკარს ჰქონდა გავლილი კურსები. რაც შეეხებოდა საერთაშორისო ბაზებზე წვდომას მათ ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული საბიბლიოთეკო ცენტრთან, თუმცა ძალიან მცირე იყო საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენების მაჩვენებელი. შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაცია იყო გაწერილიყო კონკრეტული გეგმა, რომ ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აქტიურად ჩართულიყვნენ ამ პროცესში.

შესვენება გამოცხადდა: 15:12 საათზე.
სხდომა განახლდა:15:24 საათზე.

საბჭოს წევრი იური მღებრიშვილი საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით დაინტერესდა სადიპლომო ნაშრომებით, რამდენად პასუხობდნენ იმ კრიტერიუმებს, რაც განსაზღვრული იყო საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებისათვის. მისი თქმით, ის გაეცნო ნაშრომებს და დარჩა შთაბეჭდილება, რომ ისინი რეფერატის ტიპის ნაშრომები იყო, ხოლო ანალიზი და კვლევის კომპონენტი ვერსად დაინახა.
ექსპერტმა ირმა მანჯავიძემ საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ისინი უნივერსიტეტში შევიდნენ ავტორიზაციის მიზნით და რომ ეს ნაშრომები არ შეუფასებიათ, რადგან აკრედიტაციისა და ავტორიზაციის მიზნები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. მისი თქმით, უნივერსიტეტს ჰქონდა შიდა შემოწმებისა და შიდა შეფასების სისტემა, ხოლო სამეცნიერო კვლევის ნაწილის რაც შეეხებოდა, ის საჭიროებდა შემდგომ განვითარებას, რასაც დასჭირდებოდა უფრო მეტი სპეციალისტების ჩართულობა. რეაბილიტაციის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა კვლევითი კომპონენტი უფრო პრაქტიკული ნაწილი ყოფილიყო, რაც გამოიწვევდა სტუდენტის მეტ ჩართულობას, ასევე, კვლევა საინტერესო გახდებოდა თუ მას ექნება დამატებითი დაფინანსება და ის გასცდებოდა რეფერატის სახეს.

საბჭოს წევრი, ნინო ინასარიძე დაინტერესდა ექსპერტების აზრით, რამდენად ჰქონდა ინფრასტრუქტურას პოტენციალი, რომ სტუდენტებს შეესრულებინათ შესაბამისი სადიპლომო და კვლევითი ნამუშევრები.

ექსპერტმა ირმა მანჯავიძემ აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურა იყო უნივერსიტეტის მტკივნეული ნაწილი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ ფარავდა უნივერსიტეტის სასწავლო კომპონენტის განხორცილების საკითხს. რაც შეეხებოდა სამეცნიერო საკითხს, სადაც სტუდენტს პრაქტიკული კვლევები უნდა განეხორციელებინა ექსპერტმა თქვა, რომ კარგი იქნებოდა თუ გაფართოვდებოდა სარეაბილიტაციო ცენტრების სპექტრი, ამჯერადაც ჰქონდათ რეაბილიტაციის სტუდენტებს შესაძლებლობა ჩაეტარებინათ გარეული კვლევები, თუმცა პროგრამებს სჭირდებოდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ექსპერტები იმედოვნებდნენ, რომ უნივერსიტეტში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაკეთდება ინფრასტრუქტურა. ზოგადად სპორტული ცენტრების პრობლემა არა მხოლოდ ამ უნივერსიტეტში იდგა, არამედ მთელ საქართველოში, რადგან ყველაფერი ფინანსებთან იყო დაკავშირებული. მისი თქმით, უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრს ამ მხრივ ჰქონდა გეგმები.

საბჭოს წევრი იური მღებრიშვილი დაინტერესდა რომელ საერთაშორისო სპორტულ უნივერსიტეტებთან და აკადემიებთან ჰქონდა დაწესებულებას თანამშრომლობა.

საბჭოს წევრი მაია მანწკავა დაინტერესდა ექსპერტები თუ გაესაუბრნენ აფილირებულ პერსონალს, მოტივაციის ინდიკატორის გასაძლიერებლად რა კონკრეტული ღონისძიებები შესთავაზა უნივერსიტეტმა მათ. მან აღნიშნა, რომ მისი პრაქტიკიდან გამომდინარე მხარდაჭერა ხდება სტატიების საერთაშორისო გამოქვეყნების დაფინანსებით, სამივლინებო გრანტებით.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ არსებობდა ასეთი ხელშეწყობა და თუ ამ მეცნიერებს არ ჰქონდათ მატერიალურ - ტექნიკური ბაზა ამ ეტაპისთვის, როგორ ახორციელებდნენ ცოდნის ტრანსფერს. ასევე, იყო თუ არა ნამდვილად დაცული აფილირების მეთოდი, ანუ ლეგიტიმური იყო თუ არა ეს მიმართულება.

ექსპერტმა, ინგა დიაკონიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა გარკვეული ხელშეკრულებები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან გაფორმებული, რომელთა ჩამონათვალიც საკმაოდ გრძელი იყო, მათ შორის: ერაზმუს+-ის 2 პროექტი, ხელშეკრულებები ეკონომიკურ აგენტებთან, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ, შესაბამისად, კვლევების ჩატარების პოტენციალი ნამდვილად იყო. რაც შეეხებოდა უკვე განხორციელებულ კვლევებს, ესპანეთის უნივერსიტეტის ერთ - ერთი დოქტორანტი 2 თვე იმყოფებოდა ინსტიტუციის ბაზაზე და აწარმოება კვლევას, რომლის შედეგადაც სადოქტორო ნაშრომი დაწერა. აფილირებულ პროფესურასთან შეხვედრას რაც შეეხებოდა ექსპერტმა თქვა, რომ მათ ჰქონდათ გასაუბრება პერსონალთან, რომლებმაც აღნიშნეს ის უპირატესობები რაც ჰქონდა აფილირებას: საერთაშორისო სტატიები და კვლევების დაფინანსება, ის არ საუბრობდა 68 - ვე აფილირებულ პროფესორზე, რადგან იყო არა მხოლოდ ბიუჯეტის, არამედ ენის ბარიერის პრობლემაც, რასთან დაკავშირებითაც გაიცა რეკომენდაციებიც. ექსპერტებმა ნახეს ისეთი ნაშრომებიც, რომლებიც სკოპუსის ბაზაში იყო გამოქვეყნებული.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებდა სპეციფიური მიმართულების განვითარებაში, საბჭოს წევრებმა ექსპერტებისგან საკმაოდ დეტალური აღწერა მიიღეს ავტორიზაციის ფარგლებში, ასევე, მიიღეს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციაც, სადაც ის აპელირებდა იმაზე, რომ რეკომენდაციების განვითარებისათვის სჭირდებათ 1 წელი. საბჭოს წევრმა თქვა, რომ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები იყო გამოთქმული მე-2, მე -5, მე -7 სტანდარტთან, ასევე, ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. ის დაინტერესდა ექსპერტების აზრით, ერთ წლიანი ვადა რამდენად საკმარისი იქნებოდა, იმისათვის, რომ დასკვნაში გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინება მომხდარიყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მილან პოლმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ აკადემიურ სფეროში ცვლილების განხორციელებას დრო სჭირდებოდა და ზოგიერთი რეკომენდაციის გათვალისწინებას შეიძლება საჭიროებდეს 1 წელზე მეტ ვადას. მაგალითად, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გაცემულ რეკომენდაციას სჭირდება გარკვეული რესურსების გამოყოფა ინსტიტუციის მიერ, რასაც დასჭირდება 1 წელზე მეტი, მათ ნახეს გადადგმული საწყისი ნაბიჯები ამ მიმართულებით, რეკომენდაციებიდანაც ჩანს, რომ ისინი ნულიდან არ იწყებენ ყველაფერს, გადადგმული იყო საბაზისო ნაბიჯები. ექსპერტებმა მხოლოდ რეკომენდაციები და რჩევები გასცეს, იმისათვის, რომ დაწესებულებას გაეუმჯობესებინა საქმიანობა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციას, რომ მე-2 სტანდარტში შეიძლებოდა უკეთესი შეფასების მიღება. ხოლო რაც შეეხებოდა შენობას, ეს მხოლოდ ამ უნივერსიტეტის პრობლემა არ იყო, კორონა ვირუსის ფონზე ის შიშობდა, ადვილად მოძებნილიყო თანხები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რექტორმა ჯემალ ძაგანიამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ როდესაც მათ მიიღეს ექსპერტთა ჯგუფის პროექტი, მათ ექსპერტებს გასცეს არგუმენტირებული პასუხი, რომელიც გადმოაგზავნეს ცენტრში. მისი თქმით, უცხოელმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არსებობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფარგლებში, თუმცა მან განმარტა, რომ აღნიშნული უნივერსიტეტი სათავეს იღებდა 1935 წლიდან, როდესაც უნივერსიტეტში ფაკულტეტი ჩამოყალიბდა, ცალკე გამოეყო 1938 წლიდან და არსებობდა 1994 წლამდე საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სახელით. შემდეგ გადაერქვა სახელი და დაერქვა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, ხოლო 2007 წელს ის გაუქმდა და მიუერთეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, საგანმანათლებლო პროგრამები გადავიდა მილევად რეჟიმში და 2011 წელს საერთოდ გაქრა. 2013 წელს მთავრობის დადგენილებით აღდგა უნივერსიტეტი, 2014 წელს კი გაიარეს სხვადასხვა საგანმანთლებლო პროგრამაზე აკრედიტაციები, შესაბამისად, მათ 2014 წლიდან დაიწყეს ფუნქციონირება, როგორც უნივერსიტეტი. შემდეგ კი იმ დროისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თხოვნით, გადაკეთდნენ სასწავლო უნივერსიტეტად, ახლა კი ფიქრობენ რომ დიდი აქცენტები კეთდებოდა მეცნიერებაზე და სასურველი იქნებოდა უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭება ინსტიტუციისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, 2020 წლის იანვრიდან შექმნეს სამეცნიერო ცენტრი, მიუხედავად იმისა, რომ ეს სამსახური მანამდე არ არსებობდა, თანამშრომლების დიდი ნაწილი სტატიებს აქვეყნებდა სკოპუსის, ტომსონ როიტერსის სისტემებში, 16 – 20 თანამშრომელი წარმოდგენილი იყო H ინდექსებით და სხვადასხვა გამოქვეყნებით. ისინი ყოველწლიურად ატარებდნენ საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციებს, 28-29 აპრილსაც ჩაატარეს პროფესორ მასწავლებლების სამეცნიერო კონფერენცია ონლაინ რეჟიმში. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი 2015 წლიდან გახდა მსოფლიო სპორტის უნივერსიტეტების ასოციაციის წევრი, რომლის ეგიდით იმართებოდა საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესები, მათი წარმომადგენლები იყვნენ პოლონეთში, ლენინგრადში, სანქტ პეტერბურგში, ერევანში, მათ 2018 წელს აღნიშნეს უნივერსიტეტის დაარსების 80 წლის თავი, მსოფლიოს 54 სპორტის უნივერსიტეტის 130 მეცნიერი ჩამოვიდა თბილისში, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში იყო პირველი შემთხვევა.

გარდა ამ აქტივობებისა მისი განმარტებით, ისინი უშვებენ ბევრ ლიტერატურას ქართულ ენაზე 2015 წლიდან დღემდე გამოსცეს 25 სახელმძღვანელო, საიდანაც მისი გამოცემული იყო - 4. ასევე, მისი თქმით, მათ ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან, რომელსაც ჰქონდა 7 ვარსკვლავიანი შენობა და ის პასუხობდა ყველანაირ მოთხოვნებს, რაც კი შეიძლება წარედგინოს უმაღლეს სასწავლებელს. თეორიული მეცადინეობები ჩატარდებოდა 2 სართულზე - 4 600 კვადრატულ მეტრზე. რაც შეეხებოდა ავარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობის პირველ სართულს, ის უფრო მდგრადი იყო ვიდრე მიშენება, რომელიც შენობას ჰქონდა, სადაც 3 კიბის ფლიგელი ჰქონდათ, ამიტომ შეწყდა ფუნქციონირება. ამ ტერიტორიაზე, ჭავჭავაძის 49 ნომერში ისინი სარგებლობდნენ 4 სპორტული დარბაზით, კალათბურთის, ფრენბურთის, 2 ტანვარჯიშის დარბაზით, კრივის დარბაზით, ტირით, აღმოსავლური ორთაბრძოლებისა და ძიუდოს დარბაზით, ღია 4 ჩოგბურთის კორტით, 2 მინი ფეხბურთის სტადიონით და საერთაშორისო სტანდარტების მქონე სტადიონით, რომელიც ხელშეკრულებით გადასცეს ფეხბურთის ფედერაციას, რომელმაც ჩადო 2 მილიონიანი ინვესტიცია და წლის ბოლოს მზად იქნება ფეხბურთის მოედანი, სარბენი ბილიკები, მძლეოსნური სექტორები, ჰქონდათ 49 წლიანი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აკადემიური მეცადინეობის ჩასატარებლად განკუთვნილი იქნებოდა დრო 3 საათამდე.
ასევე, რექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას დაქირავებული ჰქონდათ აუზი და გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულებები კლინიკებთან: ავერსთან, სადაც სამკურნალო რეაბილიტაციის პროგრამის სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას. ასევე, გაფორმებული იყო ხელშეკრულებები ბალნეოლოგიურ კურორტთან, ტატიშვილის კლინიკასთან, სპორტულ

ფედერაციასთან, ფიტნეს კლუბებთან. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ისინი საქართველოში პირველები იყვნენ, რომლებსაც მთლიანად მე-8 სემესტრში ჩადებული ჰქონდათ ნაშრომის წერა და პრაქტიკა.

რაც შეეხებოდა პერსონალს, აფილირებული პერსონალის ამხელა რაოდენობა გამოწვეული იყო იმით, რომ სპორტის დარგის სპეციალისტების 95% კონცენტრირებული იყო მათ უნივერსიტეტში: პედაგოგები, ფსიქოლოგები, ფიზიოლოგები, ანატომები, რომლებსაც ზოგს დამთავრებული ჰქონდა მათი უნივერსიტეტი, ზოგს ტარტუსი. ექსპერტების მხრიდან ყურადღება გამახვილებული იყო ასაკზეც, რასთან დაკავშირებითაც მან განმარტა, რომ რადგანაც უნივერსიტეტს კონკრეტული პერიოდი შეწყვეტილი ჰქონდა ფუნქციონირება, 7 წელი არანაირი აქტივობა არ იყო და 2011 წელს გამოუშვეს პირველი გამოშვება. მან თქვა, რომ უნივერსიტეტის ნორმალურ ფუნქციონირებაზე მეტყველებდა ის, რომ კურსდამთავრებულთა 95 – 96% დასაქმებული იყო პროფილით და არანაირი პრობლემა სამუშაო ადგილის მოძიების მათ არ გააჩნდათ. წელიწადში 200 კურსდამთავრებული რომ ჰყოლოდა უნივერსიტეტს, მასწავლებლების მომზადების შემთხვევაში 25 წელი ბაზრის მოძიება არ დასჭირდებოდათ, 10 000 მასწავლებლიდან 4 600 ჰქონდა სპეციალური განათლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლები, განსაკუთრებით, 20-22 ადამიანი ჩართული იყო პროგრამაში მასწავლებლის და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ისინი 2017-18-19 წლებში შაბათი - კვირას ატარებდნენ ტრენინგებს ადგილზე ჩასვლით: გორში, თელავში, ხაშურში, თიანეთში, წალკაში, მარნეულში. კურსის ხანგრძლივობა იყო 38 საათი, გადამზადდა 1 800 მასწავლებელი და 900 - მდე მწვრთნელი 2 წელიწად ნახევარში.

რაც შეეხებოდა ინგლისურ ენას, რექტორმა აღნიშნა, რომ ისინი აცნობიერებდნენ პრობლემას. მისი თქმით, ძნელი იყო მოეძებნათ ისეთი კადრები, რომლებიც ამ დარგში ძალიან კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას, თუმცა არსებობდა 10-15 ასეთი კადრი. 2020 წლის სექტემბრიდან კი აუცილებლად გააკეთებდნენ იმ კურსებს, რომელზეც იყო საუბარი.
ვებ - გვერდის ინგლისურენოვან ვერსიას რაც შეეხებოდა, რექტორმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დამთავრებამდე სათარგმნელად ჰქონდათ გადაცემული 150 დოკუმენტზე მეტი, რაც რეკომენდაციებში იყო ხაზგასმული, ის გადათარგმნეს ინგლისურადაც და განათავსეს ვებ - გვერდზე. პირველ სტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე, რომ მისიაში არ იყო ჩადებული კვლევითი კომპონენტი, მან თქვა, რომ 2020 წლის 1 მაისის მე - 9 ოქმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კვლევითი კომპონენტი ჩაედოთ მისიაში, რაც ხელს შეუწყობდა მასში ახალგაზრდა მკვლევარების ჩართულობას და ინტერნაციონალიზაციას.
აკადემიური კეთილსინდისიერების გააზრებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ეთიკის კოდექსსა და პლაგიატთან ბრძოლასთან დაკავშირებულ დოკუმენტში წარმოდგენილი იყო აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ რამდენიმე აბზაცი. თუმცა, მათ გადაწყვიტეს, რეკომენდაციის საფუძველზე, შეექმნათ აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი ცალკე ბროშურად და აპირებდნენ მის დაბეჭდვასაც.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციას, რომელიც დაკავშირებული იყო სტუდენტების ჩართულობის გაზრდასთან, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების დროს, მან თქვა, რომ სტრატეგიული გეგმის ეფექტურად დაგეგმვის მიზნით მან ბრძანებით შექმნა სამუშაო ჯგუფი, სადაც შედიოდა ძალიან ბევრი სამსახური, მათ შორის სტუდენტებიც, რომლებიც წარმოადგენენ თვითმმართველობას. ამასთან, წარმომადგენლობითი საბჭოს 2/3 იყო

აკადემიური პერსონალი და 1/3 - სტუდენტები, თუმცა ითვალისწინებდნენ რეკომენდაციას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მოითხოვენ სისტემატურ ცვლილებებს და მომდევნო შეფასების პროცესში სტუდენტების ჩართულობას გაზრდიდნენ.

რაც შეეხებოდა მე-2 სტანდარტს, მან თქვა, რომ ეს სამსახურები არ არსებობდა, რადგან შტატების გაზრდა შეუძლებელი იყო ფინანსური რესურსიდან გამომდინარე. დღეს 217 პერსონალიდან, 55 ჰყავდათ შტატში. მისი თქმით, პროფესორ მასწავლებლებს რომლებსაც გავლილი ჰქონდათ კონკურსი შტატში არ იყვნენ, რადგან სახელმწიფომ 2015 წელს დაამტკიცა ბიუჯეტი მილიონ სამასი ათასი, წელს კი დაამატეს ორასი ათასი, რითაც შეძლეს გაეხსნათ ორი სამსახური, თითო სამსახურში აიყვანეს 2 კადრი, 2021 წლის იანვრიდან კიდევ დაემატებოდა 2 – 2 ადამიანი. რაც შეეხებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ვიზიტის დროს მათი წარმომადგენელი იყო გერმანიაში, მოხვდა კარანტინში და ვერ შეძლო ვიზიტში მონაწილეობა. ის ერთადერთი წარმომადგენელი იყო პიარში და თუ შესაძლებლობა იქნება 2 თანამშრომელს კიდევ დაამატებდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის წამყვანი დაწესებულება იყო სპორტული თვალსაზრისით, საქართველოს 126 ოლიმპიური მედალი ჰქონდა მოპოვებული, 39 ოქროსი, საიდანაც 22 მოდიოდა მათ კურსდამთავრებულზე. 82 წლის მანძილზე 20 000 მეტი სპეციალისტი ჰყავთ გამოშვებული, რომლებიც მუშაობდნენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. რაც შეეხებოდა რჩევებს და რეკომენდაციებს ისინი ყველაფერს გაითვალისწინებენ 1 წელიწადში, მე - 2 სტანდარტს სრულად თუ არა მეტწილად შესაბამისობაში მაინც მოიყვანდნენ ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საბჭოს წევრმა მაია მანწკავამ გიორგი ზუბიტაშვილს მიმართა ბიუჯეტთან დაკავშირებით, რომ ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებული იყო ძალიან მწირი სპორტის სფეროში კვლევის განსავითარებლად, იქიდან კი 3-5% (45 000 – 60 000 ლარი) ეთმობოდა შიდა გრანტებს. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ის როგორც მეცნიერი, როგორ ფიქრობდა, როგორ ეყოფოდათ მათ ეს თანხა და რა სტრატეგია ჰქონდათ ამ მიმართულებით, ერთ პრიორიტეტს აირჩევდნენ თუ რაიმე სხვა სტრატეგიას მიმართავდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ზუბიტაშვილმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ სამეცნიერო კვლევითი აქტივობებისთვის ეს თანხა არ იყო დიდი, თუმცა უახლოეს წლებში ის გაიზრდებოდა 5% - მდე. პრიორიტეტების განსაზღვრას რაც შეეხებოდა, მათ ჰქონდათ ფაკულტეტზე სპორტის კათედრები, თვითშეფასების ანგარიშში განსაზღვრული იყო თითოეული კათედრისათვის პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებები. ისინი ფიქრობდნენ გადაენაწილებინათ ეს თანხა 9 კათედრის მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებებზე. სტუდენტებისთვის ყველა დარგი იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მულტიდისციპლინარულ კვლევასთან დაკავშირებით თვითშეფასების ანგარიშში ინფორმაციის წარმოდგენა გამორჩათ, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ არ ჰქონდათ. მათ მეცნიერებს გამოქვეყნებული ჰქონდათ სტატიები, რომლებიც აერთიანებდა მეცნიერების სხვადასხვა სფეროებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ფიქრობდნენ გარკვეული მიმართულებებით, მაგალითად, სამედიცინო მიმართულებით გაეფორმებინათ მემორანდუმები, რომ ინტერდისციპლინურ კვლევებზე მუშაობას სხვა მასშტაბები შეეძინა. მისი თქმით, უახლოს მომავალში უფრო მეტი შესაძლებლობა გაჩნდებოდა. რექტორის მიერაც აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში იყო ისეთი სამეცნიერო პერსონალი, რომლებსაც ჰქონდათ სამეცნიერო კვლევითი პოტენციალი. შეიძლებოდა გაკეთებულიყო სამსახური, სადაც უფრო ფუნდამენტური პრობლემები გადაწყდებოდა სპორტში. რაც შეეხებოდა სპორტული ფედერაციებიდან დაინტერესებას,

კონკრეტული დაინტერესება არ ყოფილა, თუმცა იწყებდნენ აქტიურ თანამშრომლობას მათთან. გამომდინარე იქიდან, რომ მე-8 სემესტრში პრაქტიკაზე მიდიოდნენ სტუდენტები, ხელშეკრულებების გაფორმება მათ ინტერესში შედიოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ჯემალ ძაგანიამ დაამატა, რომ მათ ჰქონდათ შემოსავალი ბაზების იჯარიდან, სტუდენტებიდან, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს მოეთხოვა დაფინანსება და არ დაკმაყოფილებულიყო. ასევე, ამ მწირი ბიუჯეტის ფარგლებში 30 კაცზე გასცემდნენ სტიპენდიას, რომელთა GPA იქნებოდა 2.8 და ზემოთ, თავად ისინი არანაირ დანამატს ან პრემიებს არ იღებდნენ. ასევე, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იყო სპეციფიური და სპორტულ ფორმებსა და ინვენტარზე გამოყოფილი იყო 50 – 60 ჯერ მეტი თანხა, ვიდრე სამეცნიერო მივლინებებზე, ინვენტარი კი სულ განსაახლებელი იყო.

საბჭოს წევრი თამარ ლაღიძე დაინტერესდა ერაზმუსის პროექტები თუ ხორციელდებოდა უნივერსიტეტში, რაზეც გიორგი ზუბიტაშვილმა უპასუხა, რომ 2 სტუდენტი წავიდა მობილობით ლიეტუას სპორტის უნივერსიტეტში, მათ დააკმაყოფილეს ენის მინიმალური ბარიერი, თუმცა შეუწყდათ მობილობა ცნობილი მიზეზების გამო, საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის გაჩენიდან კი ლიეტუას უნივერსიტეტში პროფესორის მობილობის შესაძლებლობაც გაჩნდა.

საბჭოს წევრი, თამარ ლაღიძე დაინტერესდა ეცნობოდნენ თუ არა უცხოენოვან ლიტერატურას სტუდენტები და როგორ, რაზეც რექტორმა ჯემალ ძაგანიამ უპასუხა, რომ მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის დაახლოებით 5-6 წიგნი, რომელიც მოითხოვდა 34 000 ლარს, 3 თვეში გადაითარგმნებოდა ქართულ ენაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ზუბიტაშვილმა დაამატა, რომ ძირითად საგნებში უცხოენოვანი ლიტერატურა ვებ - გვერდზე იყო ატვირთული. გარდა ამისა, მან თქვა, რომ იდებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებები, რის საფუძველზეც ხდებოდა გარკვეული სპორტის ლიტერატურის კონკრეტული თავების თარგმნა. ასე, რომ სტუდენტებს ქართულ ენოვან ვერსიაზეც ჰქონდათ წვდომა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა ჰქონდათ თუ არა საბჭოს წევრებს დამატებითი შეკითხვები. დამატებითი კითხვები საბჭოს წევრებს არ ჰქონიათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„განათლების ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლ ის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 205304357) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.
დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი.
საბჭომ განმარტა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა მისი ზეპირ მოსმენაზე გამოცხადებისთანავე - 2020 წლის 8 მაისს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 16:40 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარე
სხირტლაძე ნუგზარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ